ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 258

ქალაქი ქუთაისი 12 დეკემბერი 2023 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412677269) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალის – „საცურაო აუზის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე;

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412677269) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალის – „საცურაო აუზის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის“ დაფუძნების თაობაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შეთაველია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
საკრებულო
საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გას. № 39
„13“ 12 2023 წ.